





# მ ა ის ი

წაბრძანდა თეთრი აპრილი  
და ჰა, ფერების ხვაითა  
მოდის მაისი—წინ უძღვის  
გუნდი და გუნდი ყვავილთა.

წინ უძღვის დროშის ტევრებით  
დიადი რიცხვი პირველი;  
ვყოფილვართ, კვლავაც ვიქნებით  
ხალხთა ზეიმის მხილველი.

ზეცა მტრედებით სავეცა,  
ქუჩა დროშებით გაივსო.  
სალამი! სალამი! სალამი!  
ჩვენი სალამი, მაისო!

ძმობილს ხელს ართმევს ძმობილი,  
ცვივა ყვავილთა ფანტელი,  
დგანან ყელგადაჭდობილი  
რუსი, სომეხი, ქართველი.

არ წაიშლება არასდროს,  
რაც ხალხის გულში ხატია:  
— ვაშა!—გუგუნებს ხალხის ზღვა.  
— ვაშა! დიდება პარტიას!

ზეიმობს ჩვენი მამული,  
ყველგან სიმღერა გაისმის,  
თავისუფლებას, მშვიდობას,  
ძმობას ქადაგებს მაისი.

მუკრან ლუბანიძე

# ღია ბარათი

## „დილა“-ს მკითხველებს

ძვირფასო ბავშვებო!

საგვამო ობიექტი

მე ძლიერ მიყვარს თქვენი ლამაზი რესპუბლიკა, თქვენი მთები, მდინარეები და ზღვა: თქვენი სოფლები და ქალაქები. მაგრამ ყველაზე მეტად თქვენი ხალხი მიყვარს, მამაცი, გულადი, ლამაზი: მიყვარს თქვენი სიმღერები, ცეკვები, მუსიკა. მე მსახიობი ვარ და თოჯინების სახელმწიფო ცენტრალური თეატრის დირექტორი. ჩვენი თეატრი არა ერთხელ ყოფილა თქვენთან. ბავშვებისა და მოზრდილებისათვის მრავალი სპექტაკლი გაუმართავს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში. ახლა, როცა მოსკოვში ამ წერილს ვწერ, ვიგონებ თქვენს მზეს, თქვენს ლურჯ ცას, ვიგონებთ თქვენს, თურნალ „დილას“ მკითხველებს, ქართულ ბავშვებს.

ამ წერილს აი რატომ ვწერთ: ჩვენი თეატრი იყო ლონდონში. იქ სპექტაკლები გამართა მოზრდილებისა და ბავშვებისათვის. წარმოდგენების შემდეგ ინგლისელი ბავშვები ამოდიოდნენ სცენაზე და მთხოვდნენ, საბჭოთა ბავშვებისათვის მათი სალამი გადმოგეცა, იქვე,

ლონდონში, ერთმა მწერალმა ქალმა მაჩუქა წიგნი. რომელსაც ჰქვია „პატარა მოთხრობები პატარა პიტის შესახებ.“ ეს მოთხრობები ძლიერ მომეწონა. მათ შორის რამდენიმე ითარგმნა და თურნალ „მურზილაში“ დაიბეჭდა. იქნებ თქვენ კიდევ წაგიკითხეს ისინი. ახლა შევიტყუე, რომ თურნალ „დილას“ სურს დანარჩენი მოთხრობების ქართულ ენაზე დაბეჭდვა.

როცა პიტის შესახებ წაიკითხავთ, გაიხსენეთ, რომ ინგლისელმა ბავშვებმა ყველა საბჭოთა ბავშვთან მოკითხვა დამაბარეს. მაშასადამე, თქვენთანაც, ქართველ ბავშვებთანაც. ხოლო ინგლისელი ბავშვების დედებმა და მამებმა კი მთხოვეს, თქვენს დედებსა და მამებსაც გადაეცე მოკითხვა.

მე მათ დავალეხას დიდი სიხარულით ვასრულებ. იმისათვის, რომ ქვეყნად მშვილობა და ბედნიერება განმტკიცდეს, საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები—ბავშვებიც და მოზრდილებიც, მეგობრები იყვნენ.

მოსკოვი  
1956 წ.

ს. ოძრავის





# პიტე და საკვირველი ონკანი

ლელა ბერი

ნახატები რ. სუსანიძისა

პიტე კიანკველებს ეძებდა. კარგად ახსოვდა ის ადგილი, სადაც უამრავი კიანკველა გროვდებოდა. მაგრამ დღეს არც ერთი მათგანი იქ არ დახვდა. პიტემა ეძება, ეძება კიანკველები და ბოლოს ერთს მოპკრა თვალი.

— რატომ მირბიხარ ასე? — შეეკითხა პიტე და წინ პატარა ჯოხი დაახვედრა.

კიანკველა ისე აცოცდა ამ პატარა ჯოხზე, თითქოს მის წინ დიდი მთა აღმართულიყო. „მე რომ კიანკველა ვყოფილიყავი, ქვემოდან გავძვრებოდი.“ — გათიქრა პიტემა.

უეცრად პიტეს თეთრი, ბანჯგვლიანი ძაღლი მიუახლოვდა. ძაღლმა პირი დაა-

ლა, პიტემა გაშლილი ხელისგული უჩვენა მას, — ძაღლმა ხომ უნდა იცოდეს, რომ პიტეს საშიში არაფერი უჭირავს ხელში. ძაღლი ადგა, მივიდა პატარა ბიჭთან და თითები მოულოკა.

— გინდა ჩემს გვერდით დაჯდომე? დაჯექი, გეთაყვა! — უთხრა პიტემა და ხელი რამდენჯერმე დაპკრა მიწაზე. ძაღლი მართლაც იქვე ჩაცუცქდა.

— წაეიდეთ, ცუგრი! — მიმართა ცოტა ხნის შემდეგ პიტემა, — შენ ჩემი ძაღლი ხარ და, რასაც გირბძანებ, ის უნდა გააკეთო.

ძაღლი მის გარშემო მხიარულად დახტოდა და აინუნშიაც არ აგდებდა პიტის ბრძანებას.



— აბა, წავიდეთ! — უკვირებდა პიტრი ძაღლს და თან გარბოდა; ძაღლი კი ხან უკან მისდევდა, ხან წინ უსწრებდა.

ბოლოს, შეისვენეს ერთ დაბალ კედელთან, რომლის უკან სახლი მოჩანდა. „პიტ!“ — გაისმა უცებ ვიღაცის ხმა. ერთი წუთის შემდეგ კიდევ განმეორდა — „პიტ!“ და მერე ისევ: „პიტ!“

— ნეტავ ვინ ლაპარაკობს? — გაუკვირდა პიტს. „პიტ!“ — ისევ გაისმა ძახილი. პიტმა წარბები შეიკუმუნა. ძაღლს კი თავი გვერდზე მოებრუნებინა და კედელში გამოყვანილ ონკანს უყურებდა. ონკანის ქვემოთ მიწას სველი ლაქა მრგვლად დამჩნეოდა. პიტმა ონკანს შეხედა. ონკანის პირს წვეთი ჩამოაკიდა, ეს წვეთი ნელ-ნელა გაიზარდა და ბურთულასავით დამრგვალდა. ბურთულამ ონკანზე შერჩენა ველარ შესძლო, აკანკალდა, აკანკალდა და ბოლოს მიწაზე დაეცა; „პიტ!“ — გაისმა სწორედ ამ დროს.

პიტს ეს მოეწონა, ხელად თამაშისკ კი მოიგონა: სახეს ხელებში ჩამალავდა და სწრაფად ითვლიდა. როცა ონკანი ჩაიწირიპინებდა: „პიტ!“ ხოლო ბანჯგელიანი ცუგრობა შეეყვდა: „ჰამ!“ — პიტის მაშინვე შეწყვეტდა თვლას. თუ პიტის ორმოცდაათამდე დათვლას მოასწრებდა, მაშინ მოგებულად თვითონ იცო; თუ არა და მაშინ ვინდა იგებდა? — არაჲინ...

პიტმა ოთხჯერ გაიმეორა ეს თამაში და ოთხჯერვე მოიგო. მეხუთეჯერაც დათვალა ორმოცდაათამდე. სამოცამდე; სამოცდაათამდე, მაგრამ ხმა არაჲინ გასცა. პიტმა თვალეზი გაახილა და ონკანს გაკვირვებით შეხედა. მერე ხელი შეავლო. ონკანი მთლად გამშრალიყო.

პიტმა ონკანი ხან მარცხნივ შეაბრუნა, ხან მარჯვნივ, მაგრამ წყალი მაინც არ წამოვიდა. უცბად ვიღაცამ მხარზე ხელი შეახო. პიტმა უკან მიიხედა. მის წინ უტნობი კაცი იდგა. ხელში დიდი ქანჩი ეჭირა. კაცმა პიტის გვერდზე გასწია და ონკანს დაუწყო მოხსნა.





— ნუ მეჯახებით!—გაბრაზებით უთხრა პიტმა,—ნუთუ არ იცით, რომ ბოღიში უნდა მოიხადოთ! რატომ ხსნით ონკანს? ის სულ „პიტს“ გაიძახოდა, მე კი ვითვლიდი და ყოველთვის ვიგებდი. ახლა რატომღაც ჩაჩუმდა; ალბათ, გაფუქდა. თქვენ უნდა გააკეთოთ?

პიტი იქვე ჩამოჯდა და თითი ჩაიდო პირში. მას ხომ არასოდეს არა ჰქონია ასეთი მოლაპარაკე ონკანი. მერე რა კარგად ამბობდა „პიტ!“—ს. როგორი საინტერესო თამაში მოიგონა პიტმა, როგორ ერთობოდა! და უცებ ყველაფერი დაიღუპა—ონკანი გაფუქდა.

პიტი მიუბრუნდა უცნობ კაცს და გაჯავრებულმა გაუმეორა:

— რატომ ჩამიფუშეთ თამაში? რა გინდათ ჩემი ონკანისაგან, რატომ ზიხართ ჩემი ძაღლის გვერდით?

— შეიძლება შენ კარგად ერთობოდო, — თქვა კაცმა ისე, რომ პიტისაკენ არც კი მიბრუნებულა, — შეიძლება თამაში შენი მოგონილია, მაგრამ ეს ონკანიც და ძაღლიც ჩემია.

პიტს ძალიან გაუკვირდა, ერთი სიტყვაც ვეღარ თქვა.

— ძაღლს პუტი ჰქვია, — განაგრძო კაცმა, — ეს სახელი იმიტომ შევარქვი, რომ სულ ფეხებში მებლანდებდა და რამდენჯერმე კინაღამ წამაქცია.

პიტი ჩაფიქრდა:

— როცა მიდიხართ, წინ უნდა იყურებოდეთ, — თქვა მან, — მე ყოველთვის ასე ვიქცევი. რატომ მოხსენით ონკანი?

კაცმა ერთ ხანს არაფერი უპასუხა. იგი ონკანს დასჩერებოდა. ბოლოს ჩაილაპარაკა:

— აქ ახალი ონკანი უნდა დავდგა. ეს წვეთავს.

— რატომაც არ უნდა წვეთავდეს? — თქვა პიტმა, — ის ხომ „პიტს“ გაიძახის. პიტი კი ჩემი სახელია.

— რას ამბობ? — გაუკვირდა კაცს. — როგორი კვიანო ონკანი ყოფილა!

— მაშ არ გამოსცვლით ონკანს? —  
თქვა დაიმედებით პიტმა.

— აი, საქმე რაშია, — მიუგო კაცმა, —  
წყალმა აქამდე რომ მოაღწიოს, უნდა  
გაიაროს დიდი გზა. იგი წყაროებიდან  
ან მდინარეებიდან ჩამოყვება მილებს და  
ბოლოს ჩვენს ონკანში გამოდის. შენ კი  
გინდა წყალი მთლად გაიპაროს ონკანი-  
დან, ოღონდ კი განუწყვეტლივ გესმო-  
დეს „პიტ“, „პიტ“?

— დიახ, — მიუგო პიტმა, — მე ასე  
მომწონს!

— მეც კი გამიხარდებოდა, ონკანი  
რომ ჩემს სახელს „ბერტს“ ამბობდეს, —  
თქვა კაცმა, — აი, ჩემს ცუგრიასაც სურს  
გაიგონოს „პუტი“.

— „პუტი“? — ჩაფიქრდა პიტი, — მგო-  
ნი, ონკანმა ვარკვევით თქვა „პუტი“! —  
მერე დაღონებით ჰკითხა: — მაშ მეტს  
ღარ ილაპარაკებს? ის თქვენ გააჩუმეთ?

კაცი მიუახლოვდა პიტს და უთხრა:

— აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე:

ვთქვათ, წყურვილისაგან ყელი გაგიშრა.  
აი, გახსენი ონკანი და ფიქრობ, რომ  
წყურვილს მოიკლავ. მაგრამ წყალი არ  
წამოვიდა, — ის სულ „პიტს“, „პუტს“ და  
„ბერტს“ იმეორებდა და წვეთ-წვეთად  
გაიპარა. რაღას იზამდი მაშინ?

— რას ვიზამდი და რძეს დავლე-  
დი! — უპასუხა პიტმა.

კაცს გაეცინა. ცუგრიამაც პირი  
დააღო.

კაცი და ძალლი ქვევით, სახლისაკენ  
დაემშენნ. პიტმა მათ ხელი დაუქნია.  
ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და პიტის  
ჩრდილი გამოჩნდა.

შინისაკენ მიმავალ პიტს მისი ჩრდი-  
ლი სულ ასკინკილით მისდევდა უკან.

ეს განსაკუთრებული დღე იყო.



# ტელევიზორი



პ. კარბლაშვილი

ნახატები მ. თოთიაშვილი

ბევრჯერ მოგისმენიათ რადიოში საინტერესო ზღაპრის თუ მოთხრობის დადგმა და ალბათ გიფიქრიათ: „ნეტავ დამანახვა ამ ზღაპრის თუ მოთხრობის გმირებიო!“ ეს ნატვრა სულ მალე აგისრულდება. რამდენიმე თვის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ შინ ნახოთ კინოსურათები, თოჯინების თუ მოზარდ მაცურებელთა თეატრის დადგმები, დაინახავთ, ვინ კითხულობს თქვენს საყვარელ ლექსებს და ზღაპრებს. იმ აპარატს, რომელიც ასე ვაგარტობთ, ტელევიზორი ჰქვია. ტელევიზორი ორი სიტყვისაგან შედგება: „ტელე“ ნიშნავს შორს, ხოლო „ვიზიო“ დანახვას. მაშასადამე, ტელევიზორი შორსმხედველს ჰქვია. ტელევიზორი ჩვეულებრივ რადიომიმღებს წააგავს, მხოლოდ წინ პატარა ეკრანი აქვს გაკეთებული, — დაახლოებით თქვენი ჩანთისოდენა. ჩააქრობთ ოთახში სინათლეს და ამ ეკრანზე, როგორც კინოში, გამოჩნდება ყოველივე ის, რის ნახვაც თქვენ გინდათ.



ახლა თუ რადიოში, საინტერესო გადმოცემის წინ, დიქტორი აცხადებს: „ყურადღება, ლაპარაკობს თბილისი!“ — მაშინ კი ასე გამოაცხადებს: „ყურადღება, აჩვენებს თბილისიო!“

სატელევიზიო გადმოცემა ასე ხდება: ვთქვათ, პატარა მაცურებლებს შინ უნდა აჩვენონ „ნაცარქექია“ მოზარდ მაცურებელთა თეატრიდან. მაშინ თეატრში

მიაქვთ გადამცემი სატელევიზიო კამერა. ის ძლიერ წააგავს ფოტოაპარატს, რომლითაც თქვენ ბევრჯერ გადაგიღიათ სურათი. ერთი კაცი, — მას ოპერატორი ჰქვია, — კამერას უმიზნებს მსახიობს. კა-

მერაში მსახიობის გამოსახულება მოხვდება, ხოლო კამერა ამ გამოსახულებას კოშკისაკენ გაგზავნის, რომელიც ჩვეულებრივ სახლზე ათჯერ მაღალია. კოშკზე მოწყობილი ანტენა რადიოტალღების სახით ამ გამოსახულებას ჰაერში გაავრცელებს. თქვენი სახლის სახურავზე დადგმული ტელევიზორის ანტენა კი შეიგროვებს მას და ეკრანზე გვიჩვენებს ნაცარქექიას თავდასაუაღს. სადაც არ უნდა იყოს, თეატრში, ცირკში, სტადიონზე, ფეხბურთის მატჩის დროს, ან პიონერთა სასახლეში, რასაც ოპერატორი კამერას დაუმიზნებს, ყოველივეს ტელე-





ლებიც ფერადი კინოებებით  
ფერად გადმოცემებსაც გვიჩვენებს.

თქვენ, ალბათ, ნახეთ კინო-ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება“. ხომ გახსოვთ, რომ წყალქვეშა ნავის კაპიტანს თავისი კაიუტიდან გამოუსვლელად შეუძლია დაინახოს, რას აკეთებენ მეზღვაურები, რა ამბავია სხვა კაიუტებშიც. ეს ხდება სწორედ ტელევიზორით.

სატელევიზიო კოშკისა და სადგურის შენება მალე დამთავრდება თბილისში. ეს იქნება მეექვსე ხუთწლედის პირველი საჩუქარი.

ვიზორის ეკრანზე დაინახავთ. ახლა მოსკოვში არის ისეთი ტელევიზორები, რომ-

თავრდება თბილისში. ეს იქნება მეექვსე ხუთწლედის პირველი საჩუქარი.


# მეზღავე

რ. ქავლაძე

ნახატები შ. მხაბაძისა

მაისს ძველად ვარდობის თვეც ერქვა, რადგან ვარდები ამ დროს ჰყვავის. რა სჯობს მაისში ბალმინდვრების ნახვას! ეს კარგად იციან ფუტკრებმა, პებლებმა და სხვა მწერებმა. მათ ხომ ძლიერ უყვართ ყვავილების წვენი, რასაც ნექტარი ეწოდება. აი, მცხეთის მიდამოში ფუტკრებსა და პებლებს რომ ჰკითხოვნ, საით გაგიწევიათო, ასე უპასუხებდნენ:

— ზუ-ზუ. ფრ-ფრ! ერთი პატარა ბალისაყენ მივფრინავთ, იქ საუცხოო ყვავილები ხარობს! ეს პატარა ბალი ძველთაძველი ტაძრის სვეტიცხოვლის გალავნის გვერდით მდებარეობს. რას არ ნახავთ ამ ბაღში! აქეთ სუმბულის კვლებია. იქით ვარდები გაშლილა. ია-ჟუჟუნაც მათ ახლოს ამოსულა. მას სამფერა იაც ჰქვია, რადგან ყვავილის ფურცელი ლურჯი, ყვითელი და თეთრი



ფერის აქვს. უფრო მცირეა ყვავილები სათუ-  
რებიდან იჭიტებიან. ბაღში ცოცხალ-  
ბიკ ოზრდება.—ეს არის ოსტატურად შეკრე-  
ლი ბუჩქები. ერთი ცოცხალი კალათის გვერდით  
ვეება ქვევრი წამოქმულა მხარეთმოზე. ყვავი-  
ლებს კვლებს არ უკმარიათ, ბაღში ჩაღმულ  
მაგიდებზე ასულან და იქ მოკალათებულან. ამ  
ბაღში ხელოვნური კლდეებიცაა, მართალია, ისე-  
თი დიდი არა, როგორც სინამდვილეში გენა-  
ხავს, მაგრამ, აბა, პატარა ყვავილებმა ის რა იციან.  
ჰოდა, ვისაც ჭკაზე უყვარს ცხოვრება, აქ დასა-  
ლებულია. მწვანე ხავსში წითლად დღეობს მარწყვი  
და ხენდრო. ბაღის პატრონს სკამებზე და მავი-  
დებზე ვერცხლისფერი არუის ხის ქერქები გა-  
დაუყრავს, არაგვის მიერ ჩამოტანილი უცნაურად  
დაგრეხილი ტოტებიც აქ ისვენებენ დიდი მო-  
ხაურობის შემდეგ, ამ ბაღში ფერად-ფერადი ქვი-  
თაფორილი და მოხდენილია

ნატეხებიც არის  
თაფორილი და მოხდენილია

ნატეხებიც არის  
თაფორილი და მოხდენილია  
აწყვია მაგიდებზე.  
ბაღის პატრონი მოხუცებული კაცია; ის სულ  
ყვავილებთან ფსჟფსებს. აქ ყველაფერი მისი  
ხელითაა დარგული და გახარებული. მას ღამაში  
კალათების ყოთებაში ბადალი არა ჰყავს.  
ყვავილების კალათის ყოთებას გეზოვნება და  
ოსტატობა სჭირდება, რათა ყვავილი ყვავილს  
შეუტარიო და ფერი ფერს მიუყენო წითელი ვარ-  
დის გვერდით რომ წითელი ტიტა აღმოჩნდეს,  
ვარდს ეწყინება, ზემი სიღამაზე დაჩრდილავს,  
მას თეთრი, ნაზი ყვავილების მგზობლობა უფრო  
ურჩენია. შრომებს ია-ფუნებს გვერდით უყოფ.

ნა უხარიათ, ლურჯია და არც ისე ამაყი. უფრო  
ნაზი რომ გამოეჩნდეთო, ხანდისხან კალათაში  
დაბრძანებული ყვავილები გამკვირვებულ პირბა-  
დესაც ჩამოიფარებენ. პირბადე გვიმრის ან სატა-  
კურის ძაფებით წერილი ფოთლებისაა.

პაპა მიხას უცნაური და უცხო მკენარებებიც  
უყვარს. გაგივიათ, რას ჰქვია კაცის საყენელა?  
ეს პატარა ბუჩქია, მის წერტილ ღეროებზე კი, გვე-  
ნებათ, ვიღაცას თეთრი წერილი მძივები აუსხამსო.  
მაგრამ ეს მძივები კი არაა, ამ ბუჩქის ნაყოფია.  
აღმათ კაცის თუ უყვარს მისი კენკვა და კაცის  
საკენკვლაც ამიტომ დაგრქვა. პაპია ქოთნებსა და

პრამიტის ნამტრებზეში ცხელი ქვევის მკენარე-  
ბი—კაცულსები ხაიობს. ზოგი ყვავილითაა გა-  
ლლი, ზოგი კი ისე გაქრული დგას, ძალიანაც  
რომ შეხვეწოთ, თავს არ დაღიბოთ. აივანზე პა-  
ტარა კალათების აცმა ჰკილია, წყნელისგან მოწ-  
ნული ლასტები-კალათები კი ქართულ ფხის მო-  
გაგონებთ: უკან ღრბზე დაღმული, ღობეზე  
გელოანი, გაფარებული ტოტებიცაა გაღებული და

პატარა ქვევრიცაა წამოგარბული. ამ ქვევრში  
პაპა მიხა მტრწილად პატარა ყვავილებს ღღბს,  
ცისანას, ია-ფუნენს და სხვა მათ მსგავსს.  
პაპა მიხა გან მარტო თავის ბაღს უფლის.  
როდესაც საფურაში ილია ჰაქვავის სახლ-მუ-  
ხეუმს ესტუმრებით, დაუკვირდით, რამდენი პატარა  
ბოგორია გაღებული ყვავილნარსა და ხილ-  
ნარში ჩამავალ რუბებზე, როგორი ღობებია გა-  
ყოთებული დაგრეხილი ტოტებისაგან. აგერ, ას-  
წლოვანი კაქოს ქვეშ, უხარმახარ ქვის მაგიდაზე  
ღამაში კალათები აწყვია, იქით ხის მაგიდებია,  
რომღღბსაც არუის ქერქით გადაცრული კუნძები  
უწყვია სკამებად, თეთრონ მუხეუმში, ილია  
ჰაქვავის ბიუსტის წინ, მუდამ ცოცხალი ყვავი-  
ლები დგას. ეს ყვავილები პაპა მიხას ბაღისა-  
სეგ უფლის მოხუცი მებაღე დიდი მწერლის ილია  
ჰაქვავის კარმიდამოს. თეთრონ მოიწადინა ეს  
საქმე და უანგაროდ ასრულებს კიდელ.

პაპა მიხას ყვავილების კალათა მწილად უჭრ-  
დება შინ; ის საჩუქრად მიაკეთ ხოლმე ან თბი-  
ლისში ჩამოსული უცხო სტუმრებისათვის, ან ცნო-  
ბილი და საყვარელი ადამიანების იუბილზე. მხო-  
ლოდ ერთი მაწია კალათა ჰკილია მისი ოთახის  
კედელზე. ეს კალათა, იცით, ვინ გააკეთა? პაპა  
მიხას შეიღწილმა რვა წლის მარკომ. პაპას რომ  
უყურებდა, სტუმრად მოსულმა გოგონამაც აიღო  
პატარა კალათა, ხავსი ჩაფინა, კნამს წითელი  
მარცლებით მოკახმა, სხვა ყვავილებიც მიღმატა  
და ღამაში კალათა გააკეთა. თურმე არც ისე ძნე-  
ლი ყოფილა, თუკი დაკვირვებასა და მომიჩინ-  
ბას გამოიჩინ.

ეს პატარა თვალწარბატკი ბაღიც ხომ ადამი-  
ნის დაუღალავმა მარჯვენამ და შრომისმოყვა-  
რობამ გააშენა.



ისეთ ლამაზ სოფელში, რომელშიც მზევინარი ცხოვრობს. ყველაზე კარგი საკოლმეურნეო ფერმაა.

ფერმაში იმდენი ძროხაა, რომ მის დასათვლელად არც მზევინარის თითები კმარა, არც ჯიუტი არჩილის, და არც ის ოკი ჩხირი, მზევინარს მამამ წითელი კაპიტის წყნელისაგან რომ გაუკეთა.

რას იზამ, არ კმარა!.. მაგრამ მზევინარი ხომ მომავალ წელს სკოლაში დაიწყებს სიარულს, მაშინ კი დაითვლის!..

მზევინარი ფერმის ხშირი სტუმარია, თითქმის ყოველ დღე დაპყვება იქ ყველაზე კარგ მწველავ ქალს. ეს ქალი მზევინარის დედაა.

მზევინარს ძალიან უყვარს ფერმაში ყოფნა. იმიტომ კი არა, რომ ხელით ძროხის წველა არ ენახოს. არა! ბებო ხომ ყოველ დილით წველის ძროხას. მაგრამ აქ საწველი მანქანები აქვთ და მზევინარიც ჩაპკირკიტებს ხოლმე, როგორ მოედინება

თქრალით გემრიელი რძე რეზინის მილებში. მზევინარი ჩალასაც თავისი ხელით აქმევს საქონელს; აქ კი სულ სხვაა: თვითონ მოგზორავს საყვებით დატვირთული რკინის ყუთი და წყალსაც არც ერთი ძროხა ვედროდან არა სვამს, საგანგებო სასმურებით მიირთმევს. დააქერს თუ არა წყლის ონკანს პირს, ცივი წყალი მყისვე ამოჩუხუხუხდება. ასწევს თავს და წყალიც შეწყდება.

კარგა ხანია მზევინარი ასეთ ამბებს უყრადღებავს არ აქცევს. ეს კი არა და დედოფალს კაბა სულ გაუქუქუყიანდა. წაბლისფერი ხავერდის დათუნია კი ფი-

სომ განჯინიდან გადმოავდო და შუბლი გაუტეხა. ჰო, გადმოავდო, და მზევინარმა აქამდე კატის გასაკიცხადაც ვერ მოიკალა.

განა არ იცის გოგონამ, რომ დედოფალს სისუფთავე სჭირდება? განა არ იცის, რომ დათუნისა შუბლი სტკივა? როგორ არა, იცის, მაგრამ რა ქნას! მას



აქეთ. რაც ფერმაში ყველაზე ლამაზი ხბო დაიბადა. ერთი წუთითაც აღარ სცა-ლია.

ხბო მართლაც ძალიან ლამაზია. წითელი ფერი აქვს, ძალიან ბზილაა წითელი ფერი, თვალის ქვემოთ თითქმის ნახევარი ცხვირი თეთრი აქვს, მუცელი და კუდის ნახევარიც თოვლივით უქათათებს. ამას გარდა მოყავისფრო ჩლიქები შვენის და სადაცაა რქებიც ამოუვა.

არჩილი კი მაინც ვერ დააჯერა. აბა რა, მზევინარის ხბოს, რომელსაც მან „ლამაზა“ დაარქვა, როგორა სჯობს არჩილის კვიცი! კვიცი არც ჭრელია და არც



ახლოს იკარებს თავის პატრონს, ამას გარდა რქებიც თავის ღღეში არ ამოუყვ! არჩილს როდი სჯერა; გინდა თუ არა ჩემი კვიცი სჯობსო, ისე გაიქცევა, რომ ვერაინ დაეწიოსო.

— რად არ გჯერა, აი, ბებიამ თქვა, რომ ხბო სჯობსო.—ცოტა იცრუა კი-დეც მზევინარმა.

— არა, არა სჯობს.—თავი გაიქნია არჩილმა.

— აკი ბებომ თქვა!..

— ეგრე ხომ ბაბუამაც თქვა, კვიცი სჯობსო, ჰოდა, კვიცი სჯობს.

მზევინარმა მართლაც ჰკითხა ბებიას, ხბო სჯობდა თუ კვიცი.

— შვილო,—წყნარად და დამაჯერებლად უთხრა ბებიამ,—მხოლოდ ის აჯობებს, რომელიც უკეთესი მოვლილი იქნება.

ჰოდა, ნახოს არჩილმა, როგორი მოვლა იცის მზევინარმა, ან როგორ ძროხას გაზრდის.

აი, ღღესაც ყველაზე კარგად გააძღო თავისი „ლამაზა“, თეთრი ფაიფურის ქურქლიდან რძე საწოვრით ბოლომდე შეასვა, მერე ჯავრისით გაასუფთავა. ახლა ეზოში დატარებს სუფთა ჰაერზე. მწვანე ბალახსაც ურჩევს, მერე კაკეიანი ჯოხით აკაკიის ტოტებს იწევს და „ლამაზას“ ახალდაკრეფილ ფოთოლს სთავაზობს.

არჩილის „მერცხალას“ კი აკაკიის ფოთოლი სულაც არ უყვარს და აგრე ხომ ვერ გასუქდება. არც ასეთი მოვლილი იქნება.

ახლა წყაროზე მიდინან. „ლამაზა“ მაღინად ხერეკს ხოლმე ცივ წყალს, როცა ცხელა. მზევინარი მისვლისთანავე როდი მისცემს წყლის დაღვევის ნებას. საერთოდ არ შეიძლება, რომ ნამგზავრზე ცივი წყლით გაიბერო. ცოტა უნდა დაისვენო.

თუმცა „ლამაზა“ ოდნავ კი ურჩობს, მაგრამ მერე რა, განა მზევინარი ვერ მოაქევიანებს?..

მზევინარი ბექობზე დაეშვა, ხბოც კუნტრუშით აედევნა და ანკარა წყალს მიამურა. მზევინარი წინ გადაელობა, მაგრამ ამჯერად „ლამაზამ“ უკან როდი დაიხია, პირიქით, სრულიად მოულოდნელად ეძგერა, ურქინა და მზევინარი თავისი შინდისფერყვავილებიანი კაბით პირდაპირ რუში გადააგდო.

წყლიდან ამოსული, ის იყო ხბოს უნდა გასწყრომოდა, რომ ბექობზე არჩილი შენიშნა.

— ხი, ხი, ხი!—ხიხითებდა იგი.

მზევინარს ეწყინა, ისე ეწყინა, რომ ლამის იტირა, მაგრამ ხბოს არჩილის გასაგონად არაფერი უთხრა.

— ხი, ხი, ხი!—ისევ იცინოდა „მერცხალას“ პატრონი.—ახლაც სჯობია? ახლაც სჯობს შენი „ლამაზა“?

მზევინარმა კიდეც არაფერი უპასუხა.

— აკი გირჩოლა, აკი წყალში გადაგაყირავა? ახლაც სჯობია?—არ ისვენებდა არჩილი.

— გადამაყირავა... როდის გადამაყირავა?—ძლივს ამოიღუღლულა გოგონამ,—მე თვითონ წავიქეცი... მე თვითონ გადავეარდი, მე თვითონ...






## აი, რას ამბობს ზურციკო

— ფანქრის გატეხვა ვიცოდი.  
ქუჩაში წიგნის გატანა.  
ქვაზე დავეცი, ვიტორე,  
როცა ვიყავი პატარა.  
— ახლა დიდი ხარ, ზურციკო?!—  
ღიმილით ჰკითხა მამიდა.  
— დიდი ვარ. გრას ვერევი,  
თამამად ვბტები სკამიდან.  
ახლა სკოლაშიც დავდივარ,  
ქუჩაში რბენა არ მინდა.  
— ჯერ ხომ საბავშვო ბაღში ხარ!—  
შენიშენას აძლევს მამიდა.  
— არა, სკოლაში დავდივარ,  
მეუბნებიან, დიდი ხარ.  
თინა დეიდა ხმამაღლა  
საცვარულ წიგნებს გვიკითხავს.

## ხუთი ვაშლი მეყოფა

ილია სინაბულიძე

პაპა დათა პაწაწინა  
ავთოს მეგობარია;  
პაპა ზღაპრებს რომ უყვება,  
ავთოს ეს უხარია.  
პაპა კიდევ ვაშლებს აძლევს;  
ერთხელ უთხრა: „ავთანდილო!  
პა, ვაშლები! ჰამე ოღონდ,  
ჯერ დათვალე ათამი!“  
შვილიშვილს რომ თვლა ასწავლოს,  
ცდილობს პაპა დაეითი;  
ავთომ უთხრა: „ჯერ შევქამ და  
შემდეგ კარგად დავივლი!“  
— თუ შევქამე, როგორ დათვლი?—  
პაპა აღარ ეშვება;  
ხუთამდე თვლა იცის ავთომ,  
მაგრამ შემდეგ ეშვება.  
რა ქნას ბიჭმა, აღარ იცის,  
თან რცხენია, ეტყობა;  
ამბობს: „მეტი აღარ მინდა,  
ხუთი ვაშლი მეყოფა!“



# გვალოგელი ბახალა



ერთ მინდორზე ცხოვრობდა სამი ყვა-ვი: დედა, მამა და მათი ერთადერთი შვილი, რომელიც უკვე დიდი იყო, მაგრამ მოფერებით მაინც ბახალას ეძახდნენ. მშობლებმა ხან რა ასწავლეს ბახალას, ხან რა. ბახალამ კი ვერაფერი ისწავლა. ბოლოს დედა ყვავემა გადასწყვიტა ქსოვა

მაინც ესწავლებინა. გაფრინდა, აწვლებზე დახვეული აბრეშუმი ბლომად დაგლიჯა და შვილს აუხსნა, როგორ უნდა მოექსოვა. ბახალამ მალე ისწავლა ქსოვა. მოხერხებულად გააბ-გამოაბანის-კარტით მოყვითალო ძაფი და რამდენიმე დღეში დედას თავშალი მოუქსოვა. რაც ქსოვა დაიწყო, დედ-მამას წინდა-პაქოქი აღარ გამოლევია.

ერთხელ, როცა ბახალა თავის მშობლებთან მშვიდად საუბრობდა, უცნაური ხმა მოესმა. ვილაცა მღეროდა. პირველად გაიგონა ბახალამ ასეთი ხმა.

— საოცარია პირდაპირ! ჯერ ასეთი ხმა არა მსმენია. ნეტავ ვინ მღერის?

— ახლა რაღა იქნება, ღამეა. ხვალ კი გაიგებ.—დააშოშმინა დედა ყვავემა.

სისხამ დილით ისევ გაისმა მომხიბვლელი ხმა. მაშინ დედა ყვავემა ბახალას სველი ნისკარტით ქაჩორი დაუვარცხნა, წაიყვანა და წავიდა.

ისინი ხმას მიჰყვნენ და ღელის პირას აყვავებულ ასკილის ბუჩქთან შეჩერდნენ, სადაც სმენადქცეულა ფრინველები დაინახეს. მაღალი მთიდან არწივიც კი მოფრენილიყო. ჯერ შეშინდნენ ყვავები, ქორმა ან არწივმა კლანჭი არ მოგვედოსო, მაგრამ მალე დამშვიდდნენ. ფრინ-

ველები ისე იყვნენ მოხიბლული სიმღერით, რომ არავისთვის ეცალათ.

მომღერალი პატარა ჩიტო იყო. ასკილის ტოტზე წამოძვდარიყო, თავი ყვა-ვილზე დაედო, თვალები დაეხუტა და მღეროდა. ბახალამ კარგად შეათვალიერა იგი, გაიგო, რომ ბულბული ერქვა, და მერე სახლისაკენ გამობრუნდა.

ეს იყო და ეს. რამდენიმე დღე ბახალას ხმა არ ამოუღია. მოიწყინა. აღარც სვამდა, აღარც ჰამდა, აღარც ტოლებში ერთობოდა და ქსოვა ხომ სულ არ აგონდებოდა. შეშინებული მშობლები შვილს ეკითხებოდნენ:

— რად მოიწყინე, ან ქსოვას რატომ მიანებე თავი?

— ქსოვას რატომ მიანებე თავიო!— გაიმეორა მათი სიტყვები გაბრაზებულმა ბახალამ, — სიმღერა ვერ მასწავლეთ?! ჩემზე ბევრად პატარა ჩიტუნას მთელი ქვეყნის ფრინველები აქებდნენ. მტერი და მოყვარე მეც მომიხმენდა, როგორც ბულბულს უსმენდნენ.





— რა გადარდებს, შვილო.—მოეფერა დედა,—თხოვოთ ბუღბუღს, იქნებ გასწავლოს სიმღერა.

— შერე, შეგიძლია სიმღერის შესწავლა?—დაექვდა მამა ყვავი.

დედა ყვავი გამოექომაგა შვილს, მამას შეუბღვირა, ბავშვს გულს რად უფუქებო. და ბახალას მიუბრუნდა:

— ნუ გეშინია. როგორც იქნება. ბუღბუღი გასწავლის სიმღერას.

მეორე დღეს დედა ყვავი და მორთულ-მოკახმული ბახალა ბუღბუღთან წავიდნენ. ბუღბუღმა ის იყო ვაღობა დაამთავრა, რომ ძახილი შემოესმა.

— ბუღბუღო.. ჩემო საყვარელო ჩიტუნავ,—დაბლიდან შესძახოდა ყვავი. — მომისმინე. ერთი სათხოვარი მაქვს.

ბუღბუღი სტუმრების პატივსაცემად დაბლა ჩამოხტა.

— ერთდეროთ შვილს ნუ დამიჩაგრავ. ასწავლე შენი სიმღერა.—სთხოვა ყვავმა.

ბუღბუღი შეყაყმანდა. იუცხოვა ასეთი თხოვნა. თანხმობის თქმა გაუძნელდა და ხათრით უარიც ვერა თქვა.

— მასწავლებლობა არ მებერჩება.

თორემ დიდი სიამოვნებით ვასწავლდი.—ბუღბუღს ეგონა, ამ პასუხით მოიშორებდა აბეზარ სტუმრებს, მაგრამ დედა ყვავს არ მოეწონა მისი სიტყვები და მაშინვე მიუგო:

— მაშ, ეს მაინც გვითხარი, სიმღერა ვინ გასწავლა, ჩემს ბახალასაც მასთან წაიყვან.

— თუ დაიჯერებოთ, ჩემთვის არავის უსწავლებია.—მიუგო ბუღბუღმა.

— არა, გეთყვა, აუ დასაჯერებელია, მაშ როგორ მღერი, თუ არავის უსწავლებია?—გაეპასუხა ბახალაც.

ასე იყო თუ ისე, ყვავებმა დაითანხმეს ბუღბუღი.

ამის შემდეგ ბახალა ყოველ დღე დადიოდა ბუღბუღთან. საქსოვს ახლოს აღარ უქარებოდა, ამხანაგებშიც თავს მალა იქერდა, იკვებინდა: „მალე მეც ბუღბუღივით ვიმღერებ, ყველა მე მომისმენსო.“ მაგრამ ზაფხულის დამლევს, ერთ მშვენიერ დილას ბუღბუღმა ყვავს ასე უთხრა:

— დღეის შემდეგ ჩემთან ნულარ მოხვალ. ხვალ დილით თბილ ქვეყანაში მივფრინავ. წადი, ადრე რა ხელობაც იცოდი. ისევ იმას დაუბრუნდი. შენ სიმღერისა ვერა გაიგე რა.

— სცდებით!—იუკადრისა ბახალამ,— მე შესანიშნავად ვისწავლე სიმღერა, მაგრამ გაბედულება მაკლია.

ისე გააბრაზა ბუღბუღის სიტყვებმა ბახალა, რომ ნისკარტიც კი მოუღერა მასწავლებელს.

ბელურას ყური მოეკრა მათი საუბრისათვის, წინ გადაეღობა ბახალას და შეისძახა:

— რა გაბრაზებს, ბახალავ! რას ერჩი ბუღბუღს? ის ხვალ ვაფრინდება თბილ ქვეყანაში, ბურთი და მოედანი შენ დაგრჩება. მოიწვიე ჩვენი ტყისა და მინდორის ფრინველები, ვნახოთ ერთი, რა სიმღერა ისწავლე. ავისა და კარგის გარჩევა ჩვენც შეგვიძლია.



ბელურამ კარგად იცოდა, რომ ყვავს სიმღერისა არა გაეგებოდა რა, მაგრამ ბულბულის გადასარჩენად მოიფიქრა ეს სიტყვები.

ბახალას კუთუში დაუჯდა ბელურას რჩევა, დედასთან გაფრინდა და სთხოვა, როგორმე მომიგროვე ფრინველები, ხვალ დილით კონცერტი უნდა გავმართოო.

დედა ყვავმა ახლაც შეუსრულა შეიღოს სურვილი. შეზობელ კაქკაქს სთხოვა:

— დამეხმარე ფრინველების მოწვევაში. ენაწულიანი ხარ. არ გაგვირდება მათი მოპატივება.

ყველაფერი გამიგია და ყვავის კონცერტი კი არა. აქ რალაც საკვირველი ხდებაო.— გაიფიქრა კაქკაქმა და ყვავს შეპირდა, ხვალ დილით ყველანი აქ იქნებიანო.

მეორე დღეს, ვიდრე მზე ამოვიდოდა, ბუჩქის გარშემო აუარებელი ფრინველი შეიკრიბა. საუბრობდნენ, ქოთობდნენ, ხუმ-

რობდნენ, მაგრამ როცა „მომღერალმა“ ბახალა სამღერლად მოემზადა, გაჩუმდნენ.

ბახალამ თვალები დააჭყიტა. გაიბერა, ვეებერთელა პირი დაადო, დაჭიმა ძარღვები, მაგრამ ტკბილი ჰანგების ნაცვლად საშინელი ხმა აღმოხდა.

— ყვა. ყვა. ყვა!.. — ისე დაიხზავლია რომ შეშინებული ფრინველები აქტივით გაიფანტნენ. ყველას ფერი აცვლენინა მისმა ჩხავილმა. ზოგი შეშინებული წავიდა, ზოგიც გაბრაზდა, ამის გულისათვის აქ როგორ მოგვიყვანესო. მხოლოდ ყვავები იღიმებოდნენ. მოეწონათ ბახალას „სიმღერა.“ ამ ჩხაველით წიწილების შეშინებას შევძლებთ და უფრო ადვილად მოვახერხებთ დაქვრასო. შერცხვინილ ბახალას და მის მშობლებსაც ამითლა დაუმშვიდეს გული.

ამბობენ, ბახალას სიმღერამდე არც ერთმა ყვავმა არ იცოდა ჩხაველი, მას შემდეგ კი ყველამ ისწავლაო.







# მღებავი

დ. ლიპაძე

პოლონელი პოეტი

მღებავი ვარ, მოვიტყარი  
ვედროთი და ფუნჯი შენთან.  
შინდა სახლი მოვიხატო,  
ასე უცხად რომ აწვინდა.

ფუნჯი აქეთ, ფუნჯი იქით,  
კარ-ფანჯარას ვუღებ სულთოდ.  
საღებავის ერთი წვეთი  
უცხად ცხვირზე დამსხუტავა.

თარგმანი ანრი ივლიანი

# წვიმა

მამარჯანი

წვიმა მოდის შხაპუნა,  
დასცხო, მოუმატა,  
დაიმაღლენ კიბის ქვეშ  
შურია და კატა.

მზოდღე იხვი შეშარის  
წვიმას კოკისპირულს, —  
ღვარში ცურავს, ჰკონია  
საქმეს სწავის გვირულს.



საფლამია, უცვართ პატარებს,  
შეგობრებს ქროვეთ ატარებს.

საინიანი

# სეთითი რვეული

მამარჯანი

შას შემდგე, რაც ნიამ კითხვა  
ისწავლა, უფროსების წიგნებსა  
და რვეულს ეტანება. ახლაც  
შამის მავიდას მიუჯდა, გადამა-  
ლა მისი რვეული, შობიარჯვა  
დანქარი და ის იყო დაჯღაბნა  
დაამარა, რომ დედამ მოუწერო.  
— ნია, რამდენჯერ უნდა

გითხრა, რომ სხვის რვეულებს  
ხელი არ ახლო!  
ნია მდინჯად მიუთითა რვეუ-  
ლის ყდაზე:  
— დედა, აქ წერია „სეთითი  
რვეული“ და მე შეგონა. ყვე-  
ლას შეველო შიგ წერა.



# დედა შაუვი

დ. კახიანი

პოეტი

დედა შაუვმა თავის ბარტყებს  
მისცა სტენის გაცვეთილი:  
ოთხივეთის ხევისპირას  
მარწყვი ჰქონდა დატყეული.

ოთხის ოთხი შეახვედრა,  
აუბა და დააუბრა,  
იავნა უცხადობა,  
საბნალ ფრთები დაახურა

ვინც რომ თქვენში ოთხჯერ ოთხი  
აილა და შაუვამა,  
მითხრას: შაუვმა შეიღებს მარწყვი  
სულ რამდენი შეაკვამა?




# ნუცოკო

პ. აღმაძე

ერთ კვირა დღეს დედამ ნუ-  
ცოკო და გივი ცირკში წაიყვანა.  
გახარებული ბავშვები გაო-  
ცებით შესტყეოდნენ დათუ-  
ნების კორტიკოსს, ცხოველებით  
დატვირთულ მატარებელს და  
პატარა ცხენებს თამაშს.  
შემდეგ დედამ ბავშვებს ნა-  
ყინოც უყვიდა, რომელიც ძლიერ  
უყვარდა ნუცოკოს.

როდესაც შინ დაბრუნდნენ,  
პაპამ გვერდით მოისცა შეილო-  
შვილები და ჰკითხა:  
— აბა, შიამბეთ, რა მოგწერ-  
ნათ ცირკში?  
— სპილოები, ლომები, და-  
თუნები, ფეხბურთის მოთამაშე  
ძაღვები! — წამოიძახა გივიმ.  
— შენ, ნუცოკო?  
— მშველაზე უფრო ნაყინი  
მომწერნა!



6 45/68



შრომობს გოგო ბზრიანლა, და დაიწვეს პრიადლი  
საქმეს აღარ ეშვება მოხატულმა თეფშებმა.

ნ. კილასონია

უცის მხატვრობა ეკუთვნის ალ. გოგოლაშვილს

რედაქტორი იოსებ წონჭეილა, საარქივო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი,  
 კ. გოგიაშვილი, მაყვალა შრეულიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგანი, ი. სხარულიძე, ნ. უნაფიკოშვილი,  
 შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამეცხრე წელი ფასი 2 მან.

Д. И. Л. А.—ежемесячный детский журнал ЦК ВЛКСМ Грузии № 5, май 1966 г. Тбилиси. Тоннаж 14.  
 საბლიტბაში, ზედაციის მისამართი: თბილისი, ლეონის 14. პ. ხარა. ტელ. პ. 37-89, განაშენ. შეუკ. № 259 სტამბის შეუკ. № 902/113  
 ტირაჟი: 15 000. უც. მხატვ. ხელმოწერილია დასაბამად 23.IV-56 წ. ტექსტი ამუშავებია მოლოგრაფიკოსმა ი. კოჭუნიბტიძემ  
 სტა:ბაში, ჟურნალი დაბეჭდილია ჟურნალ ბეჭდვის სტამბაში. მარანაშვილის 5.